

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

 **ზურაბ ბუცბურიკიძე**

„16“ „01“ 2015 წელი

ეგზ. № 1

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური
ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში **ანგ 4/00**

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტის მიდგომა	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	5
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები.....	7
დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა.....	8
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.....	8
უარი დასკვნის გაცემაზე.....	9
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	10
ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის.....	10
მოთხოვნები ბარტერით	10
შენობა-ნაგებობები	11
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	13
ორგანიზაციის ხარჯები	14
ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ.....	17
ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	18
საცნობარო მუხლი.....	20
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	20
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	20
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	22
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	44
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	44

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა. აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;

- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა, როგორც - სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან

გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 7821.8 ათასი ლარი, რომლის 82%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო 18%-ს არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- გადასახადები - 2242.0 ათასი ლარი;
- გრანტები - 3339.3 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები - 866.0 ათასი ლარი;

2012 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად: გათანაბრებითი ტრანსფერი - 1917.4 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 1261.9 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულია 160.0 ათასი ლარი.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელებმა შეადგინა 8997.1 ათასი ლარი. გადასახდელების 46%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 54%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

2013 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 9927.8 ათასი ლარი, რომლის 99%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო 1%-ს არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- გადასახადები - 2969.7 ათასი ლარი;
- გრანტები - 5600.7 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები - 1304.2 ათასი ლარი.

2013 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად, გათანაბრებითი ტრანსფერი - 1285.5 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 4150.2 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულია 165.0 ათასი ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 8872.5 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 49%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 51%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

2012-2013 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროექტები: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები; წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები; გარე-განათების სისტემის მომსახურება და ექსპლოატაცია.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია ხელით, საბუღალტრო რეგისტრები და დავთრები მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ ნაწარმოებია ცალ-ცალკე.

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- არაფინანსურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა;
- მიღებული არაფინანსური აქტივების მოძრაობა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები ძირითადად მიღებულია, როგორც - სარწმუნო.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების¹ შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ფინანსური ანგარიშგებები არ შეუდგენია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტში ფინანსურ ანგარიშგებას არ ადგენენ 2007 წლიდან.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობის, მოთხოვნების, სხვა ეკონომიკური ნაკადების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ. აღნიშნულის შედეგად, დაინტერესებულ მხარეებს არ ეძლევათ საშუალება გაეცნონ მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულ ფინანსურ შედეგებს.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

გარემოება: ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულია ანგარიშების გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში ცალ-

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

ცალკე, მუნიციპალიტეტის სამსახურების მიხედვით, მონაცემების საბოლოო კონსოლიდაციის გარეშე.

გარდა აღნიშნულისა, 2014 წლის 17 თებერვალს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ამოღებულია 2008-2013 წლებში ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შედეგად, შეიზღუდა საკითხის შესწავლის მასშტაბი, რამაც ყოვლისმომცველი და არსებითი გავლენა მოახდინა აუდიტის პროცესზე.

გავლენა

- მასშტაბის შეზღუდვის მიზეზით, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ზოგადად საბუღალტრო გატარებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი სრულყოფილად არ აწარმოებს სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას, არსებობს მაღალი რისკი, რომ არასათანადოდ ხორციელდება: კონტროლი ეკონომიკური მოვლენების შესახებ პირველადი დოკუმენტების დროულად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებაზე; ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და არაფინანსური აქტივების აღრიცხვა; წმინდა ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის გაანგარიშება.

უარი დასკვნის გაცემაზე

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება, ხოლო შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაცია ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რის გამოც მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა, რის გამოც გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის

გარემოება: მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბალანსის მუხლში - „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“, საწყისი ნაშთის სახით დაფიქსირებულია - 2344.8 ათასი ლარი, ხოლო საბოლოო ნაშთი - 3381.9 ათასი ლარი.

დაფიქსირებული თანხები წარმოადგენს მომსახურე ბანკში, მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ფულადი სახსრების ნაშთებს. შესაბამისად, აღნიშნული ფულადი სახსრების ნაშთები უნდა დაფიქსირებულიყო ბალანსის მუხლში - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

გავლენა

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბალანსში (ფორმა №1) არ არის აღრიცხული „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ მუხლის საწყისი ნაშთი - 2344.8 ათასი ლარი და საბოლოო ნაშთი - 3381.9 ათასი ლარი, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია ბალანსის მუხლის - „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“, ნაშთები.

მოთხოვნები ბარტერიტ

გარემოება: 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ორგანიზაციის ბალანსის მუხლში „მოთხოვნები ბარტერიტ“, არასწორად არის დაფიქსირებული საწყისი ნაშთი - 166 ლარი. აღნიშნული თანხა შეადგენს კომპანია „სილქნეტზე“ სატელეფონო მომსახურებისათვის ავანსად გადახდილ თანხას.

მომსახურების გაწევისათვის ავანსად გადახდილი თანხა უნდა აღრიცხულიყო „მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1, მუხლი - „მოთხოვნები ბარტერიტ“, გაზრდილია 166 ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდების“ მუხლი.

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება არაფინანსური აქტივები (შენობა-ნაგებობები და სხვა აქტივები), რომლებიც არ არის შეფასებული და მისი ღირებულება არაფინანსური აქტივების საბუღალტრო ბარათებში დაფიქსირებულია - 0.0 ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არაფინანსური აქტივის ღირებულებითი ფასის არქონა გამოწვეულია იმით, რომ აქტივები გადმოცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ხოლო გადმოცემის დოკუმენტებში აქტივის ღირებულება არ იყო დაფიქსირებული.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ღირებულების გარეშე არსებული ქონების ბალანსში აღრიცხვის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს მიღებული ქონების შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ და აქტივები, როგორც ბალანსში, ასევე საბუღალტრო დოკუმენტებში, აისახოს მათი რეალური ღირებულებით.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ღირებულების გარეშე არსებული არაფინანსური აქტივების შეუფასებლობის შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში (ბალანსი ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსი“, ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“, ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“). არაფინანსური აქტივების მუხლი წარმოდგენილია შემცირებული ღირებულებით.
- ღირებულების გარეშე არსებულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთა, შედეგად, წლიური ცვეთის ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიში“ და ფორმა №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) წარმოდგენილია არასწორად.

გარემოება 2: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ აქტივებს, საერთო ღირებულებით 4395.0 ათასი ლარი, არ დაერიცხა ცვეთის ხარჯი. აღნიშნულ აქტივებს მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა ცვეთა დაარიცხა აუდიტის მსვლელობისას და აღნიშნულმა თანხამ შეადგინა 193.3 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აქტივებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელდა იმის გამო, რომ ისინი მუნიციპალიტეტის მიერ წარმოებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ძირითად აქტივებს, მიუხედავად იმისა, საანგარიშო წლის რომელ თვეშია ისინი შეძენილი ან წარმოებული, ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება მათი საწყისი (ისტორიული) ღირებულების გამრავლებით ცვეთის წლიურ ნორმაზე².

გავლენა

- გამოვლენილი გარემოებით, ორგანიზაციის ბალანსში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 193.3 ათასი ლარით.
- აქტივებზე ცვეთის არასწორად დარიცხვა გავლენას ახდენს ორგანიზაციული ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლზე; დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, მუხლზე - „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“; დანართი ფორმა №3 - „წმინდა ღირებულების ანგარიშში“ - „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლზე; დანართი ფორმა №5 - „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობებისა და „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლებზე.

გარემოება 3: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შესრულებულია გზებისა და წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 3721.7 ათასი

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 3.

ლარი. ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად, მიმწოდებლებს 1 წლის ვადით დაუკავდათ ხარისხის უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა - 142.0 ათასი ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა, შესრულებული სამუშაოები ბალანსზე აიყვანა არა ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, არამედ გაწეული საკასო ხარჯის შესაბამისად. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულია არასწორი საბუღალტრო ოპერაცია, ხოლო მიღებული აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არაზუსტი ღირებულებით.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფორმა №1 - „ორგანიზაციის ბალანსში“, შენობა-ნაგებობების ღირებულება შემცირებულია 142.0 ათასი ლარით, ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით გაწეული ხარჯი, ხოლო ბალანსის დანართი ფორმა №5 - „ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, შემცირებულია როგორც შენობა-ნაგებობების ღირებულება, ასევე „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით გაწეული ხარჯები.

აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2013 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საბუღალტრო დოკუმენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირების გარეშე, გააჩნია კრედიტორული დავალიანება - 142.0 ათასი ლარი. აღნიშნული ვალდებულება შედგება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%-ისაგან, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ დაკავებულია როგორც საგარანტიო თანხა, იმ დაშვებით, რომ დაკავებული თანხა მიმწოდებელს აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ერთწლიანი საგარანტიო ვადის ამოწურვის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარანტიის სახით დაკავებული თანხა - 142.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტს უნდა ეღიარებინა როგორც კრედიტორული

დავალიანება და აღერიცხა ორგანიზაციის ბალანსში - „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ ანგარიშზე³.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში (ფორმა №1) არ არის დაფიქსირებული მუნიციპალიტეტის კრედიტორული დავალიანება - 142.0 ათასი ლარი.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე და არ ასახავს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების რეალურ მონაცემებს.

ორგანიზაციის ხარჯები

გარემოება 1: ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა №2 - „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 2013 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით, „ხელფასები ფულადი ფორმის“ სახით გაცემულია - 1657.3 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ფულადი ფორმით გაცემული ხელფასები მოიცავს პრემიის თანხას - 355.7 ათას ლარს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებისა“ და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით, პრემიის სახით გაცემული თანხები უნდა დაკლასიფიცირდეს ცალკე პუნქტში. შესაბამისად, პრემიის სახით გაცემული თანხების მხოლოდ ხელფასებში ასახვა წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების არასწორ წარდგენას და არ იძლევა სრულ სურათს, თუ რისგან შედგება ის.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, არ არის წარმოდგენილი პრემიის სახით გაცემული თანხა - 355.7 ათასი ლარი.

გარემოება 2: ფინანსური ანგარიშგების „ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (დანართი ფორმა №2), ძირითადი კაპიტალის

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 13.

მოხმარების მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს - 269.3 ათას ლარს. დაფიქსირებული თანხა მოიცავს 2013 წელს მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ ჩამოწერილი აქტივების ღირებულებას - 21.2 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის⁴ მიხედვით, ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და შემთხვევითი დაზიანების შედეგად, ერთეულის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას, გარდა საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის შემთხვევისა, როცა ძირითადი კაპიტალის მოხმარება, კაპიტალის წარმოების პროცესში გამოყენებულ ძირითად აქტივებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამოწერილი აქტივების ღირებულება - 21.1 ათასი ლარი, საფინანსო სამსახურს არ უნდა აღერიცხა „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში.

გავლენა

2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის გაზრდილი ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯი - 21.2 ათასი ლარით, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების ბალანსის დანართი ფორმა №2-ის - „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართი ფორმა №3-ის - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, მონაცემების უტყუარობაზე.

გარემოება 3: მუნიციპალიტეტის 2013 წლის ოფისის ხარჯებში გატარებულია სახანძრო სამსახურის მოსამსახურეებისათვის შეძენილი უნიფორმის ღირებულება - 6.0 ათასი ლარი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების“ და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის⁵ მიხედვით,

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 22.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 37, პუნქტი 1.

უნიფორმის ღირებულება უნდა დაკლასიფიცირდეს „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯების“ პუნქტში.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებით, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის გაზრდილი ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ოფისის ხარჯების“ მუხლი – 6.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია მუხლი - „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“.

გარემოება 4: მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის №78 ხელშეკრულების შესაბამისად, „ოფისის ხარჯების“ მუხლით შეძენილია 1.4 ათასი ლარის ღირებულების მექანიკური მანძილმზომი. აღნიშნული აქტივი შემოსავალში აღებულია „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლით. ამასთან, შეძენაზე გაწეული ხარჯი ჩამოწერილია „ოფისის ხარჯების“ მუხლიდან. შედეგად განხორციელებულია არასწორი ბუღალტრული ოპერაცია.

მექანიკური მანძილმზომის ხარჯი მუნიციპალიტეტს ოფისის ხარჯების ნაცვლად უნდა გაეწია „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლიდან და გაწეული ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა დაეფიქსირებინა „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1).

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) არასწორად არის გაზრდილი „ოფისის ხარჯების“ მუხლი - 1.4 ათასი ლარით. ამავე თანხით შემცირებულია ბალანსის დანართი ფორმა №2-1 - „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლიდან გაწეული ხარჯი.

გარემოება 5: ფინანსური ანგარიშგების ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს - 512.0 ათას ლარს.

აღნიშნული თანხა მოიცავს 0.9 ათას ლარს, რომელიც გაცემულია 3 პირზე, „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭებისათვის კუთვნილი ფულადი ჯილდოს სახით. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ჯილდოს სახით გაცემული ფულადი სახსრების ხარჯი უნდა აღირიცხოს „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, მუხლი - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“, არასწორად არის გაზრდილი 0.9 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

გარემოება: 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით. კერძოდ, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაწეული ხარჯი შემცირებულია 8.0 ათასი ლარით, უსასყიდლოდ გასული აქტივების ღირებულება შემცირებულია 41.3 ათასი ლარით, ხოლო უსასყიდლოდ მიღებული აქტივების ღირებულება გაზრდილია 3.2 ათასი ლარით.

გარდა აღნიშნულისა, არ არის შევსებული „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ გრაფა, ხოლო „საკუთარი შემოსავლების“ გრაფაში წარმოდგენილია მთლიანი შემოსავლები, თანხით - 9910.3 ათასი ლარი. შედეგად, წმინდა ღირებულების სადებეტო და საკრედიტო ბრუნვების საბოლოო ნაშთები (ფორმა №3) გაანგარიშებულია არასწორად და არ ემთხვევა ბალანსის (ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ საბოლოო ნაშთს.

გავლენა

გამოვლენილი გარემოებებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, წარმოდგენილია არასწორად.

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

გარემოება 1: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივების“ სახით აღრიცხულია შემდეგი აქტივები: არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, ღირებულებით - 395.1 ათასი ლარი; სხვა ნაგებობები, ღირებულებით - 783.2 ათასი ლარი; სატრანსპორტო საშუალებები, ღირებულებით - 381.1 ათასი ლარი; სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, ღირებულებით - 76.8 ათასი ლარი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული აქტივები წარმოადგენს 2008-2012 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ აქტივებს, რომლებიც შესაბამის პერიოდში არ იყო აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო აქტივებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ამოღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ.

გავლენა

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა, აქტივების ფაქტობრივად მიღებისა და ღირებულებითი შეფასების რეალობის დადგენის მიზნით, გაცნობოდა პირველად დოკუმენტებს. შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული უსასყიდლოდ მიღებული აქტივების აღრიცხვის სისწორეზე.

გარემოება 2: ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის“ სახით 2013 წელს მიღებულია შემდეგი აქტივები: არასაცხოვრებელი შენობები, ღირებულებით - 404.8 ათასი ლარი; სხვა შენობა-ნაგებობები, ღირებულებით - 421.2 ათასი ლარი; გზები, ღირებულებით - 3009.0 ათასი ლარი; საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები, ღირებულებით - 574.6 ათასი ლარი; ელექტროგადამცემი ხაზები, ღირებულებით - 23.6 ათასი ლარი.

ფაქტობრივად, აღნიშნული აქტივები შეადგენს წლის განმავლობაში სარემონტო სამუშაოების შედეგად, შესყიდვის სახით მიღებულ არაფინანსურ აქტივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით⁶, წარმოადგენს საკუთარი მოხმარებისათვის შექმნილ არაფინანსურ აქტივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში დაფიქსირებული მონაცემები წარმოდგენილია არასწორად.

გავლენა

